



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 5**

ქ.ბათუმი

22/01/2020

5-06-4-202001221352



**ჯემალ მუსხაჯბას -ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული  
ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარის  
კუთვნილ შვებულებაში გასვლის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 21-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარის ჯემალ მუსხაჯბას 2020 წლის 22 იანვრის №24-06 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ**:

1. **ჯემალ მუსხაჯბას** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარეს მიეცეს მიმდინარე წლის კუთვნილი შვებულება 24 სამუშაო დღის ხანგრძლივობით, 2020 წლის 22 იანვრიდან 2020 წლის 24 თებერვლის ჩათვლით.
2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს იმავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს ნუგზარ ვანიძეს 2020 წლის 22 იანვრიდან 2020 წლის 24 თებერვლის ჩათვლით.
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს საკრებულოს მეორად სტრუქტურულ ერთეულს - საქმისწარმოების განყოფილებას.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნადიმ ვარშანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

